საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლაშა თავართქილაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	14	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	2	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

ლაშა თავართქილაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და თავდაჭერილი. ის პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, ამასთან, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ კოლეგებს შორის კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. აღსანიშნავია, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**14**	**20**	კანდიდატი მეტნაკლებად ფლობს ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ

			სამართალთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებზე კანდიდატმა ვერ შეძლო თავისი ცოდნის სათანადოდ გამოვლენა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	კანდიდატს ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. მისი გადაწყვეტილებები არის გასაგები, დასაბუთებული და დამაჯერებელი.
წერის უნარი	18	20	კანდიდატს აქვს წერილობით აზრის ნათლად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. თავის მოსაზრებებს ასაბუთებს შესაბამისი არგუმენტებით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატს გააჩნია უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება, ის არის თავშეკავებული. თუმცა, ზეპირი კომუნიკაციისას კანდიდატმა ვერ გამოავლინა თავდაჯერებულობა და აზრის გამართულად და დამაჯერებლად დაფიქსირების უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. ის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. კანდიდატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები დაცულია თითქმის სრულად (97.7%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ის საკმაოდ აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და შეხვედრებს.
პროფესიული აქტივობა	2	5	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას. თუმცა, ის ესწრება სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრას.
ქულათა ჯამი	**85**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ		

ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36³ მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ლაშა თავართქილაძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
- *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
- *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
- *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
- *ფინანსური ვალდებულება.*

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი**</u>

ლაშა თავართქილაძეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ასრულებს კეთილსინდისიერად, თუმცა, მიმდინარე ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებით უფიქსირდება მცირედი ჯარიმები ვადაგადაცილებისათვის. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო მოძრაობის წესების დაუცველობისათვის დაკისრებული ჯარიმა კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ლაშა თავართქილაძე სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ვალდებულებებს.

<u>**დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**</u>

კანდიდატს შესწევს უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, ის არის მიუკერძოებელი და პრინციპული, რასაც ადასტურებენ მისი გამოკითხული კოლეგები.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, მას არ გამოუვლენია რაიმე

	სახის შეუწყნარებლობა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, ლაშა თავართქილაძე არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** კანდიდატი არის თავშეკავებული და კორექტული, მისი ქცევა და იმიჯი შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. ის სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ის იყო საჩივრის ავტორი. კანდიდატის მიმართ არ ფიქსირდება სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობის ფაქტი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** კანდიდატს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები მას ახასიათებენ დადებითად, გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, საქმისადმი ერთგულებას, კოლეგიალურობას, გაწონასწორებულობას, პრინციპულობასა და ა.შ.. ამასთან, რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ კანდიდატს არ ახასიათებს რაიმე სახის სისუსტე და ნაკლოვანება. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** იმის გათვალისწინებით, რომ ლაშა თავართქილაძე კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვის გაჩენის საფუძველს. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ამასთან, კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის

	არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* **სამართლის ნორმების ცოდნა** კანდიდატთან გასაუბრების შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ ის მეტნაკლებად ფლობს ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებზე კანდიდატმა ვერ შეძლო თავისი ცოდნის სათანადოდ გამოვლენა, მაგალითად, კანდიდატმა ვერ განავითარა შესაბამისი მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რა სტანდარტებს აწესებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას. გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატს დაესვა არაერთი შეკითხვა, როგორც სამართლებრივი, ისე ზოგადი ხასიათის. ის ცდილობდა შეძლებისდაგვარად სრულად განეხილა საკითხები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით კანდიდატმა ვერ განავითარა სათანადო მსჯელობა, კერძოდ, მან ვერ იმსჯელა ისეთ ზოგადსამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სამართალი და სამართლიანობის ურთიერთმიმართება, სამართლიანობის სახეები და თეორიები და ა.შ.. კანდიდატმა, ასევე, ამომწურავად ვერ იმსჯელა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვისას ფარული ჩანაწერის

	გამოყენება, სიძულვილის ენა, ზღვარი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასა და სისხლისსამართლებრივ დანაშაულს შორის და ა.შ.. საბოლოოდ, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვების განხილვის შედეგად კანდიდატმა დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 45%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატს აქვს 13-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს დაახლოებით 7-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. მას ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად, შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. თავის მოსაზრებებს კანდიდატი სათანადოდ ასაბუთებს როგორც საკანონმდებლო ნორმებით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მეშვეობით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ დადგენილებაში კანდიდატის მიერ საქმეზე Norwood v. United Kingdom ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებაზე მითითების მიზანი ბუნდოვანია. ვინაიდან, მის მიერ მოყვანილი კონკრეტული მონაკვეთის გააზრებით რთულია დადგენილებაში მითითებულ საქმესთან პარალელის გავლება. **<u>წერის უნარი</u>** კანდიდატი თავის მოსაზრებას წერილობით აფიქსირებს ნათლად, თანმიმდევრულად და გასაგებად. კანდიდატს გააჩნია ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატს გააჩნია უნარი მოთმინებით მოისმინოს განსხვავებული მოსაზრება, ის არის თავშეკავებული. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა სათანადოდ ვერ გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის უნარი. კანდიდატმა ვერ გამოავლინა თავდაჯერებულობა და აზრის გამართულად და დამაჯერებლად დაფიქსირების უნარი. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში მას დასჭირდა დასმულ კითხვათა შინაარსის განმარტება.

	<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში</u> კანდიდატი არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. ის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. კანდიდატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები დაცულია თითქმის სრულად (97.7%), რაც მეტყველებს მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ამასთან, ის აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობას. თუმცა, ის აქტიურად იღებს მონაწილეობას პროფესიულ შეხვედრებში.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.